## წარმატებული საქმე

# სასამართლომ სახელმწიფოს მოქალაქისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ანაზღაურება დააკისრა




საიას მომართა მოქალაქემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი წლების განმავლობაში ჩართული იყო საამშენებლო ბიზნესში. მოქალაქის განმარტებით, იგი 2011 წელს, დაიბარეს სამართალდამცავ უწყებაში და განუცხადეს, რომ მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, თუ იგი მისი ნებით ქუთაისში შეასრულებდა 200 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოებს.
მოპასუხე საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ 171.000 ლარის გადახდა დაევალა.
მოსარჩელის ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატი იცავდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია